ოქმი:**ო02.37222481**

თარიღი:**05/09/2022**

ოქმი № 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 31 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ .

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წლის 6-თვეში, ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: გ. ნიკოლაიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ ამ პროგრამის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე თანამომხსენებელმა გ. ნიკოლაიშვილმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს დიდი მოცულობის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განიხილა კონკრეტულად თითოეული მათგანი და ისაუბრა იმ პროექტებზეც, რომლებზეც ახლაა გამოცხადებული ტენდერი. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი